# ხელშეკრულება

**სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და შპს „კარტლის აგროსისტემები“ შორის „მეხილეობის (კაკლოვანი კულტურები)“ მე-4 საფეხურის იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში**

ქ. ზუგდიდი

12 თებერვალი 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორის **თეონა ხუფენიას** სახით, (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“), მეორეს მხრივ, შპს „კარტლის აგროსისტემები“ წარმოდგენილი მისი დირექტორის რობერტ რევიას სახით, (შემდგომში „საწარმო“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტსა და საწარმოს შორის, „მეხილეობის (კაკლოვანი კულტურები)“ მე-4 საფეხურის იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (შემდგომში - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა).

**მუხლი 2. მხარეთა ვალდებულებები**

1. სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საწარმოს ჩართვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო გეგმის პროექტების შემუშავებაში, სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი და პირობები. ასევე, ამ პროცესში, საწარმოსთან ერთად განსაზღვროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა და შეფასებაც უნდა განხორციელდეს საწარმოში, განხორციელების პერიოდი და თითოეული სწავლის შედეგის მისაღწევად სასწავლო პროცესის წარმართვაზე და პროფესიული სტუდენტის შეფასებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი.

ბ) ხელი შეუწყოს საწარმოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ამ საწარმოს კომპეტენციას მიკუთვნებული სწავლის შედეგების მიღწევაში და საჭიროების შემთხვევაში პერიოდულად უზრუნველყოს მისი ინფორმირება პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში გამოვლენილი გარემოებების შესახებ, ელექტრონული ფორმით ან მისთვის ხელმისაწვდომი სხვა საშუალებით.

გ) გამოყოს საწარმოსთან საკონტაქტო პირი და განსაზღვროს მისი უფლება-მოვალეობები.

2. საწარმო ვალდებულია:

ა) მონაწილეობა მიიღოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო გეგმის პროექტების შემუშავებაში, სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი და პირობები. ასევე, ამ პროცესში, სასწავლო უნივერსიტეტთან ერთად განსაზღვროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა და შეფასებაც უნდა განხორციელდეს საწარმოში, განხორციელების პერიოდი და თითოეული სწავლის შედეგის მისაღწევად სასწავლო პროცესის წარმართვაზე და პროფესიული სტუდენტის შეფასებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი.

ბ) სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, თითოეული მიღების ფარგლებში უზრუნველყოს არაუმეტეს 6 პროფესიული სტუდენტის სწავლება საგანმანათლებლო პროგრამის იმ სწავლის შედეგების დადასტურების უზრუნველსაყოფად, რომელთა მიღწევაც წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობის სფეროს.

გ) პროფესიულ სტუდენტთა სწავლება განახორციელოს ამ ხელშეკრულების საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო გეგმის შესაბამისად, მხოლოდ მის კომპეტენციას მიკუთვნებული მისაღწევი სწავლის შედეგების ფარგლებში.

დ) გამოყოს შესაბამისი პირი პროფესიულ სტუდენტთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

ე) უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

ვ) უზრუნველყოს სასწავლო პროცესი მატერიალური და ადამიანური რესურსით, საწარმოს ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში და უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა წვდომა/დაშვება საწარმოს იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან (ან საშუალებებთან), რომლის გამოყენებაც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად;

ზ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მის კომპეტენციას მიკუთვნებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ან/და სამუშაო გამოცდილების მქონე თანამშრომელი/ინსტრუქტორი, რომელიც ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო/საწარმოო პროცესში მონაწილეობის ზედამხედველობას და მათთვის შესაბამისი მითითების მიცემას, ასევე, აწარმოებს პროფესიულ სტუდენტთა საწარმოში გამოცხადების აღრიცხვას. აღნიშნული პირი საჭიროების შემთხვევაში პერიოდულად უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმირებას პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში გამოვლენილი გარემოებების შესახებ, (ელექტრონული ფორმით ან მისთვის ხელმისაწვდომი სხვა საშუალებით), მათ შორის ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებიც შესაძლოა იწვევდეს ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას.

თ) სწავლის პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებს გააცნოს შრომის პირობებისა და უსაფრთხოების დაცვის ნორმები. ამასთან, უზრუნველყოს აღნიშნული პირობების/ნორმების პროფესიულ სტუდენტთათვის ხელმისაწვდომ, თვალსაჩინო ადგილას განთავსება.

ი) პროფესიულ სტუდენტებთან დადოს ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება საწარმოში პროფესიული სტუდენტის ქცევის წესები და სხვა ორგანიზაციული საკითხები.

**მუხლი 3. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა**

1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე.
2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმებით.

**მუხლი 4. დამატებითი პირობები**

1. ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში მხარეთა მიერ ერთობლივად შემუშავებული და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობა და ინფორმაცია ინსტრუქტორის შესახებ დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას და გახდება მისი განუყოფელი ნაწილი.
2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) ამ ხელშეკრულების ფარგლებში შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების ვერ მოპოვების ან ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში;
ბ) მხარეთა შეთანხმებით;
გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში და დადგენილი წესის შესაბამისად.
3. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე სურს ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება, ვალდებულია არანაკლებ სამი თვით ადრე შეატყობინოს სასწავლო უნივერსიტეტს აღნიშნულის შესახებ.
4. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით,წერილობითი ფორმით.
5. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.
6. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

**მუხლი 5. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

| სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | შპს „კარტლის აგროსისტემები“ |
|---|---|
| (ს/კ 220407888 ) | (ს/კ 208168640) |
| მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ.N14, სენაკი, მშვიდობის ქ.N 192 | მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. #75გ |
| თეონა ხუფენია<br>რექტორი | რობერტ რევია<br>დირექტორი |

შპს კარტლის აგროსისტემები
208168640
ტელ.: 244 55 42
ელ-ფოსტა: info@cartlis.ge
www.cartlis.ge
კოსტავას ქ. 75 გ, თბილისი 0171

**დანართი 1**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა

**დანართი 2**

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობა

**დანართი 3**

ინფორმაცია ინსტრუქტორის შესახებ

- სახელი და გვარი
- პოზიცია საწარმოში
- კვალიფიკაცია დიპლომის მიხედვით და/ან სამუშაო გამოცდილება (წლების მითითებით)

## სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია შოთა მესხიას
ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს № 22 დადგენილებით
„ 24 „ „ აპრილი “ 2018 წელი

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები)

**08108**

*საკონტაქტო ინფორმაცია:*


**მისამართი:** ზუგდიდი, ჯანაშიას #14 , სენაკი, მშვიდობის # 192.
**ტელეფონი:** 0 415 25 62 17
**ვებ გვერდი :** zssu.ge


ზუგდიდი

2018 წელი

ასლი დედანთან სწორია:

I. **სახელწოდება:** მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები)

II. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:** 08108-პ

## III. მიზანი

საგანმანათლებლო მოდულური პროგრამის მიზანია პირისათვის „მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები)" პროფესიის შესაბამისი თეორიული ცოდნის მიცემა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

## IV. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია კაკლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა-წარმოებასთან, კერძოდ:

- სამრეწველო ბაღებსა და სათბურებში;
- სპეციალიზებულ სანერგეებში;
- სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრების სადემონსტრაციო-ექსპერიმენტულ ნაკვეთებში;
- ნერგებისა და ჩითილებისსარეალიზაციო პუნქტებში;
- წვრილ, საშუალო და მსხვილ ფერმერულ მეურნეობებში;

## V. პროფესიული სპეციალიზაცია

მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეხილეობაში (კაკლოვანი კულტურები).

## VI. დაშვების წინაპირობა

საბაზო განათლება

ასლი დედანთან სწორია!

ACADEMIC BOARD 220407888

**VII. სტრუქტურა :**

**VII.1 საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის:**

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 99 კრედიტი -
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 129 კრედიტი- (დანართი 4- ქართული ენა A1-15 კრედიტი, ქართული ენა B1-15 კრედიტი)

| სავალდებულო ზოგადიმოდულები | | ძირითადი სავალდებულო პროფესიული მოდულები | | არჩევითი მოდულები | |
|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | კრედიტი | დასახელება | კრედიტი | დასახელება | კრედიტი |
| 1.კომუნიკაცია ქართულ ენაზე - მეცხოველისა და მეხილისათვის | 9 | 8. გაცნობითი პრაქტიკა - მეხილესათვის. | 3 | | |
| 2.მათემატიკური წიგნიერება - მეცხოველისა და მეხილისათვის | 9 | 9. მეხილეობის სამეურნეო-ბიოლოგიური საფუძვლები | 3 | | |
| 3.მეცნიერება და ტექნოლოგიები - მეცხოველისა და მეხილისათვის | 12 | 10. ხილ-კენკროვანი ბაღის გაშენება | 3 | | |
| 4.მეწარმეობა-მეცხოველისა და მეხილისათვის | 6 | 11. ხილკენკროვანი კულტურების ბაღის მოვლა | 5 | | |
| 5. ინგლისური ენა | 5 | 12. ხილკენკროვანი კულტურების სარგავი მასალის წარმოება | 6 | | |
| 6.მოქალაქეობა - მეცხოველისა და მეხილისათვის | 6 | 13. ხილკენკროვანი კულტურების სხვლა-ფორმირება | 3 | | |
| 7.ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 | 14.აგრომექანიზაცია | 4 | | |
| | | 15.ხილ-კენკრის მოსავლის აღების ორგანიზება | 3 | | |
| | | 16.ხილ-კენკრის დახარისხებადა შენახვა | 2 | | |



ასლი დედანთან სწორია!

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 17.უვნებელი და ხარისხიანი ხილ-კენკრის წარმოების ორგანიზაცია | 3 | | |
| | | 18.პრაქტიკული პროექტი მეხილესათვის. | 4 | | |
| | | სპეციალური მოდულები: (კაკლოვანი კულტურები) | | | |
| | | 19. კაკლოვანი კულტურების ბაღის გაშენება და მოვლა | 3 | | |
| | | 20. კაკლოვანი კულტურების ზოგადი დახასიათება | 3 | | |
| | | 21. კაკლოვანი კულტურების წარმოება | 4 | | |
| სულ: | 50 | სულ: | 49 | სულ: | 0 |

ასლი დედანთან სწორია:

აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD
229407888

**VIII. 2. სრული ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის**

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - **64 კრედიტი -**
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- **94 კრედიტი-**
  (დანართი 4- ქართული ენა A1-15 კრედიტი, ქართული ენა B1-15 კრედიტი)

| სავალდებულო ზოგადიმოდულები | | ძირითადი სავალდებულო პროფესიული მოდულები | | არჩევითი მოდულები | |
|---|---|---|---|---|---|
| **დასახელება** | **კრედიტი** | **დასახელება** | **კრედიტი** | **დასახელება** | **კრედიტი** |
| **1.ინტერპერსონალური კომუნიკაცია** | 3 | 6. გაცნობითი პრაქტიკა - მეხილესათვის. | 3 | | |
| **2.რაოდენობრივი წიგნიერება** | 2 | 7. მეხილეობის სამეურნეო-ბიოლოგიური საფუძვლები | 3 | | |
| **3.ინფორმაციული წიგნიერება** 1 | 3 | 8. ხილ-კენკროვანი ბაღის გაშენება | 3 | | |
| **4.მეწარმეობა** 2 | 2 | 9. ხილკენკროვანი კულტურების ბაღის მოვლა | 5 | | |
| **5. ინგლისური ენა** | 5 | 10. ხილკენკროვანი კულტურების სარგავი მასალის წარმოება | 6 | | |
| | | 11. ხილკენკროვანი კულტურების სხვლა-ფორმირება | 3 | | |
| | | 12.აგრომექანიზაცია | 4 | | |
| | | 13.ხილ-კენკრის მოსავლის აღების ორგანიზება | 3 | | |
| | | 14.ხილ-კენკრის დახარისხებადა შენახვა | 2 | | |
| | | 15.უვნებელი და ხარისხიანი ხილ-კენკრის წარმოების ორგანიზაცია | 3 | | |

ასლი დედანთან სწორია

STATE TEACHING UNIVERSITY ACADEMIC BOARD

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 16.პრაქტიკული პროექტი მეხილეებისათვის. | 4 | | |
| | | | | | |
| | | სპეციალური მოდულები: (კაკლოვანი კულტურები) | | | |
| | | 19. კაკლოვანი კულტურების ბაღის გაშენება და მოვლა | 3 | | |
| | | 20. კაკლოვანი კულტურების ზოგადი დახასიათება | 3 | | |
| | | 21. კაკლოვანი კულტურების წარმოება | 4 | | |
| სულ: | 15 | სულ: | 49 | სულ: | 0 |

**IX. სწავლის შედეგები პროფესიული სპეციალიზაციის გათვალისწინებით**

**პროგრამის გავლის შემდეგ პირს შეუძლია:**

- ხილკენკროვანი კულტურების მორფოლოგიური და ანატომიური აგებულების მიხედვით დახასიათება;
- ხეხილკენკროვანი კულტურების ჯგუფებად დაყოფა;
- ხილკენკროვანი კულტურების ძირითადი ჯიშების გამოცნობა და ბიოლოგიურ-სამეურნეო თვისებების დახასიათება;
- მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების დროს სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვა;
- ბაღი სგაშენების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- ბაღის გასაშენებლად ადგილის შერჩევა;
- საბაღე ფართობის ტერიტორიული მოწყობაში მონაწილეობა;
- ბაღის გასაშენებლად სარგავი მასალის შერჩევა-მომზადება და დარგვა;
- ხილკენკროვანი ბაღის მოვლის თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- უსაფრთხოდ მუშაობის უზრუნველყოფა და გარემოს დაცვა;
- ბაღში ნიადაგის დამუშავება და განოყიერება;
- მორწყვისა და ირიგაციის სათანადოდ გამოყენება;
- ბაღში მცენარეთა დაცვა;
- ბაღის გაშენების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- ბაღში გაცდენილი ადგილის გამორგვა-შევსება;
- კრიტიკული სიტუაციების მართვა;
- დახურულ ფესვთა სისტემით ნერგის წარმოება;

- ხეხილის სხვლა- ფორმირების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- ახალგაზრდა ხეხილის ფორმირება;
- ხეხილის გასხვლა;
- ნიადაგის დასამუშავებელი სას.სამეურნეო მანქანა-დანადგარების იდენტიფიკაცია;
- სასოფლო-სამეურნეომანქანა-იარაღებით ნიადაგის დამუშავების მონიტორინგი;
- მცენარეთა შესაწამლი და სასუქების შემტანი აგრეგატების შერჩევა;
- მცენარეთა შესაწამლი , მოსავლის ასაღები და დასახარისხებელი, სასუქების შემტანი აგრეგატების გამოყენება;
- მოსავლი საღების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- მოსავლის ასაღებად სათანადო ტექნიკა-ინვენტარის მომზადება;
- კაკლოვანი კულტურების ბაღის გაშენება და მოვლა;
- კაკლოვანი კულტურების ზოგადი დახასიათება;
- კაკლოვანიკ ულტურების წარმოება;
- სურსათის უვნებლოობის წესების აღწერა ხარისხიანიპროდუქციის წარმოების მიზნით;
- მოცემული ტექნოლოგიური რუკის მიხედვით, კალენდარული ვადებისა და მცენარეთა განვითარების ცალკეული ფენოფაზების შესაბამისად გათვალისწინებული სამუშაოების იდენტიფიცირება;
- უვნებელი და ხარისხიანი ხილკენკროვანი კულტურების წარმოების დროს და შესაბამისი დოკუმენტაციის შევსება.

**9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც ძირითადი სავალდებულო და სპეციალური მოდულების კრედიტების რაოდენობაა-49. სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული 50% -ზე მეტი სწავლის შედეგები რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა.

**10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

პროფესიულ სტუდენტს კრედიტი მიენიჭება მიღწეული სწავლის შედეგის დადასტურებისას.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

## 11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რაზეც რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრავს 50% მეტი (67 %) სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

## 12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა დასპეციალური საგანმანათლებლო საჭიროები სმქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია ენიჭება მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

## 13. საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პროფესიული სტანდარტი „მეხილე“

**დანართი 1** - მოდულები

**დანართი 2** – სასწავლო/სამუშაო გეგმა

**დანართი 3**-პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

**დანართი 4** - ქართული ენის მოდულები

ასლი დედანთან სწორია

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი SHOTA MESKHIA STATE TEACHING UNIVERSITY აკადემიური საბჭო ACADEMIC BOARD

სასწავლო გეგმა-დანართი 2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები)-IV საფეხური (დუალური ტიპის სწავლებისთვის)

ძირითადი და არჩევითი მოდულები მიმდევრობის მიხედვით

| მოდულის N | მოდულის ს | მოდული | შედეგის N | შედეგი | კრედიტი | სასწავლო ობიექტი | საწარმოო ობიექტი- შპს ,,პარტლისი" | საწარმოო ობიექტი-შპს ,,აგრო სახლი" |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი სავალდებულო | გაცნობითი პრაქტიკა მეხილესათვის | 1 | პროფესიის შესახებ ინფორმაციის მართვა | 0,5 | × | | |
| | | | 2 | კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა | 0,5 | × | | |
| | | | 3 | პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნების დასახვა და განხორციელება | 1 | | × | × |
| 2 | ძირითადი სავალდებულო | მეხილეობის სამეურნეო-ბიოლოგიური საფუძვლები | 1 | ხილკენკროვანი კულტურების მორფოლოგიური და ანატომიური აგებულების მიხედვით დახასიათება | 1 | × | | |
| | | | 2 | ხეხილკენკროვანი კულტურების ჯგუფებად დაყოფა | 1 | × | | |
| | | | 3 | ხილკენკროვანი კულტურების ძირითადი ჯიშების გამოცნობა და ბიოლოგიურ-სამეურნეო თვისებების დახასიათება | 0,5 | × | | |
| | | | 4 | მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების დროს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა | 0,5 | × | | |
| 3 | ძირითადი სავალდებულო | აგრომექანიზაცია | 1 | ნიადაგის დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო მანქანა დანადგარების იდენტიფიკაცია | 1 | × | | |
| | | | 2 | სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით ნიადაგის დამუშავების მონიტორინგი | 1 | | × | × |
| | | | 3 | მცენარეთა შესაწამლი და სასუქების შემტანი აგრეგატების გამოყენება | 1 | | × | |
| | | | 4 | მცენარეთა შესაწამლი , მოსავლის ასაღები და დასახარისხებელი, სასუქების შემტანი აგრეგატების გამოყენება | 1 | | × | |
| 4 | სპეციალური მოდული [illegible] | კაკლოვანი კულტურების [illegible] | 1 | კაკლოვანი კულტურების იდენტიფიკაცია | 1 | × | | |
| | | | 2 | კაკლოვანი კულტურების ბოტანიკურ-მორფოლოგიური დახასიათება | 0,5 | × | | |
| | | | 3 | კაკლოვანი კულტურების ბიოლოგიური თავისებურებები | 0,5 | × | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ზოგადი დახასიათება | 4 | ინტენსიური ტიპის სამრეწველო სადემონტრაციო ნაკვეთზე  კაკლოვანი კულტურების იდენტიფიკაცია | 1 | | × | × |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | სპეციალური მოდული | კაკლოვანი კულტურებისბაღის გაშენება და მოვლა | 1 | კაკლოვანი კულტურების ბაღის გაშენება | 1 | | × | × |
| | | | 2 | მავნებელ-დაავადებათა კონტროლი | 1 | | × | × |
| | | | 3 | სარეველების და ამონაყრების კონტროლი | 0,5 | | × | × |
| | | | 4 | სტრესული ფაქტორების მართვა კაკლოვანი კულტურების ბაღში | 0,5 | | × | × |
| 6 | სპეციალური მოდული | კაკლოვანი კულტურების წარმოება | 1 | კაკლოვანი კულტურებისათვის ნიადაგის მომზადება | 1 | | × | × |
| | | | 2 | სადედე ნარგაობის აპრობაცია | 0,5 | | × | |
| | | | 3 | სანერგე მასალის დარგვა | 0,5 | | × | × |
| | | | 4 | მცენარის გამოკვება | 0,5 | | × | × |
| | | | 5 | ბაღის მორწყვა | 0,5 | | × | × |
| | | | 6 | მცენარის სხვლა-ფორმირება | 0,5 | | × | × |
| | | | 7 | ბაღში მეჩხერიანობის ლიკვიდაცია | 0,5 | | × | × |
| 7 | ძირითადი სავალდებულო | ხილ-კენკროვანი კულტურების ბაღის გაშენება | 1 | ბაღის გაშენების თეორიული საფუძვლების გაანალიზება | 1 | × | | |
| | | | 2 | ბაღის გასაშენებლადადგილისშერჩევა | 0,5 | | × | × |
| | | | 3 | საბაღე ფართობის ტერიტორიული მოწყობაში მონაწილეობა | 0,5 | | × | × |
| | | | 4 | ბაღის გასაშენებლად სარგავი მასალის შერჩევა-მომზადება და დარგვა | 1 | | × | × |
| 8 | ძირითადი სავალდებულო | ხილ-კენკროვანი კულტურების ბაღის მოვლა | 1 | ხილკენკროვანი ბაღის მოვლის თეორიული საფუძვლების გაანალიზება | 1 | × | | |
| | | | 2 | უსაფრთხოდ მუშაობის უზრუნველყოფა და გარემოს დაცვა | 0,5 | × | | |
| | | | 3 | ბაღში ნიადაგის დამუშავება და განოყიერება | 1 | | × | × |
| | | | 4 | მორწყვისა და ირიგაციის სათანადოდ გამოყენება | 0,5 | | × | × |
| | | | 5 | ბაღში მცენარეთა დაცვა | 1 | | × | × |
| | | | 6 | ბაღში გაცდენილი ადგილის გამორგვა-შევსება | 0,5 | | × | × |
| | | | 7 | კრიტიკული სიტუაციების მართვა | 0,5 | | × | × |
| 9 | ძირითადი სავალდებულო | ხილკენკროვანი კულტურების სარგავი მასალის წარმოება | 1 | სანერგის ტერიტორიული მოწყობის თეორიული საფუძვლების გაანალიზება | 1 | × | | |
| | | | 2 | სანერგეში საჭირო მანქანა-იარაღების შერჩევა-გამოყენება | 1 | | × | × |
| | | | 3 | ნერგის წარმოება | 1 | | × | × |
| | | | 4 | საძირეთა მომზადება დასამყნობად | 1 | | × | × |
| | | | 5 | მყნობა | 0,5 | | × | × |
| | | | 6 | სანერგეში ოკულანტებისა და საძირეების მოვლა | 0,5 | | × | × |
| | | | 7 | სადედე ნარგაობის აპრობაცია | 0,5 | | × | |
| | | | 8 | დახურულ ფესვთა სისტემით ნერგის წარმოება | 0,5 | | × | × |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | ძირითადი სავალდებულო | ხილკენკროვანი კულტურების სხვლა- | 1 | ხეხილის სხვლა- ფორმირების თეორიული საფუძვლების გაანალიზება | 1 | × | | |
| | | | 2 | ახალგაზრდა ხეხილის ფორმირება | 1 | | × | × |
| | | | 3 | ხეხილის გასხვლა | 1 | | × | × |
| 11 | ძირითადი სავალდებულო | ხილ-კენკრის მოსავლის აღების ორგანიზება | 1 | მოსავლისაღებისთეორიულისაფუძვლებისგაანალიზება | 1 | × | | |
| | | | 2 | მოსავლისასაღებადსათანადოტექნიკა-ინვენტარისმომზადება | 1 | | × | |
| | | | 3 | ხილისკრეფა | 1 | | × | |
| 12 | ძირითადი სავალდებულო | ხილ-კენკრის დახარისხება და შენახვა | 1 | ხილის დახარისხება სათანადო პარამეტრების შესაბამისად | 1 | × | | |
| | | | 2 | საცავების მომზადება მოსავლის დროებით შესანახად | 1 | | × | |
| 13 | ძირითადი სავალდებულო | უვნებელი და ხარისხიანი ხილ-კენკრის წარმოების ორგანიზაცია | 1 | სურსათისუვნებლობისწესების აღწერა ხარისხიანიპროდუქციისწარმოების მიზნით | 1 | × | | |
| | | | 2 | მოცემული ტექნოლოგიური რუკის მიხედვით, კალენდარული ვადებისა და მცენარეთა განვითარების ცალკეული ფენოფაზების შესაბამისად გათვალისწინებული სამუშაოების იდენტიფიცირება | 1 | | × | × |
| | | | 3 | უვნებელი და ხარისხიანი ხილ-კენკროვანიკულტურებისწარმოებისდროსშესაბამისიდოკუმენტაციისშევსება | 1 | | × | × |
| 16 | ძირითადი სავალდებულო | პრაქტიკული პროექტი მეხილესათვის- | 1 | დავალების დამოუკიდებლად დაგეგმვა | 1 | × | | |
| | | | 2 | დავალების დამოუკიდებლად შესრულება | 2 | | × | × |
| | | | 3 | შესრულებული დავალების ანგარიშგება | 2 | | × | × |
| | | | | სულ | 49 | | | |